

# შპს “სერვისი-7”

პანორამული ბორბლის რკინის კონსტრუქციის სამღებრო სამუშაოების  
სახელმწიფო შესყიდვის  
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

## სატენდერო დოკუმენტაცია

დაფინანსების წყარო: საკუთარი შემოსავლები

**(CPV: 45400000)**

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12<sup>1</sup> მუხლის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე.

ოზურგეთი, სოფ. ნატანები, შეკვეთილი 2016 წელი

## სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.....	3
2. ტექნიკური მოთხოვნები.....	4–5
3. სხვა მოთხოვნები.....	6
4. დამატებითი ინფორმაცია.....	7
5. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი .....	8
6. რეკვიზიტები დანართი #1	

## 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ საქონელზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება „მსგავსი“ ან „ექვივალენტური“.

## 2. ტექნიკური მოთხოვნები

### 2.1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები:

შპს „სერვისი-7“-ის ატრაქციონების პარკ „ციცინათელა“-ში არსებული პანორამული ბორბლის რკინის კონსტრუქციაზე საღებავის აცლა/მოშორება და შეღებვის სამუშაოები.

შპს „სერვისი-7“-ის ატრაქციონების პარკ „ციცინათელა“-ში არსებული პანორამული ბორბლის საღებავის აცლა/მოშორება და შეღებვის სამუშაოებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას შემდეგი ტიპის სამშენებლო პროდუქცია.

1. საღებავი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მონაცემებს: აკრილის ბაზაზე დამზადებული 2 კომპონენტის ბოლო პირის ანტიკოროზიული საღებავი. დოზირებით: საღებავი 100წილი, გამშრობი 50წილი, გამხსნელი 10 წილი.

2. გრუნტი და საგრუნტავი საღებავი: საგრუნტავი კარგი დაფარვის ხარისხით, აკრილის ბაზაზე დამზადებული 2 კომპონენტის ანტიკოროზიული საღებავის გრუნტი. დოზირებით: გრუნტი 100 წილი, გამშრობი 50წილი, გამხსნელი 10 წილი.

3. ყველა გამოყენებული მასალა უნდა იყოს მაღალხარისხიანი და აკმაყოფილებდეს საქართველოს მოქმედ ყველა სამშენებლო ნორმებს და სტანდარტებს.

4. სამუშაოს წარმოების პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ წესებსა და ნორმებს. სამუშაოების შესრულების პროცესში პრედენდენტმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამცავი გამაფრთხილებელი თვალსაჩინოების და შეუქნიშნების დაყენება. მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომლებიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ. მიმწოდებლების მასალებისა და კონსტრუქციების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და სამშენებლო ნორმებს. შემსრულებელმა უნდა აწარმოოს ფარული სამუშაოების აქტები იმ სამუშაოებზე, რომელზეც საჭიროა აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოება. მშენებლობის დროს აუცილებელია СНиП –ებით ხელმძღვანელობა, შესრულება და დაცვა მათი მოთხოვნებისა შრომის დაცვასა და უსაფრთხოების ტექნიკაში. მომუშავენი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით ასევე უნდა სრულდებოდეს საერთო კოლექტიური დაცვის ღონისძიებებიც. აუცილებელია უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმო სანიტარიის და ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედი წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დაცვა. სამუშაოების შესრულებისას მიმწოდებელმა თითოეული სამუშაოსთვის უნდა უზრუნველყოს ისეთი უსაფრთხო და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელი სამუშაო პირობები, რის შესაძლებლობებსაც იძლევა საქმიანობის ხასიათი. ყველა სამუშაო უნდა შესრულდეს იმ ადგილობრივი სხელმწიფო კანონების, კოდექსების, მოთხოვნების და დადგენილების შესაბამისად, რომელიც ეხება ადამიანთა უსაფრთხოებას, ჯანმრთელობის დაცვასა და კეთილდღეობას. შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო უსაფრთხოებისთვის საჭირო ყველა წესისა და ინსტრუქციის შესრულება, რათა შემდგომის დაგვარად აიცილოს უბედური შემთხვევები და მინიმუმამდე დაიყვანოს თავისი მუშაკებისა და სხვა ადამიანთა ზარალი. სამუშაო ტერიტორიაზე უნდა იყოს შესაბამისი ნიშნები და გაფრთხილებები. შემსრულებელმა უნდა ჩაატაროს ღონისძიებები, მიიღოს უსაფრთხოების შესაფერისი ზომები და განახორციელოს ყველა საჭირო სამუშაო ხელშეკრულების ფარგლებში, შეათანხმოს აღნიშნული სამუშაოები შესაბამის სამსახურებთან, მის სამუშაო ტერიტორიაზე ელექტროენერჯის კომუნალური აღჭურვილობების დასაცავად და მათზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად. აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები უნდა გაიღოს შემსრულებელმა. შემსრულებელმა უნდა დაიცვას და გაათავისუფლოს დამკვეთი ყოველგვარი პრეტენზიისგან, მოთხოვნისგან, სარჩელისგან, ზარალის ანაზღაურებისგან და ხარჯებისგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ძემოაღნიშნული ზემოქმედების შედეგად ან მასთან კავშირში. შემსრულებელი ვალდებულია სათანადოდ დაიცვას ყველა შენობა, ნაგებობა, დანადგარი, კომუნიკაციები დაზიანებებისგან და გაფუჭებისგან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში. შემსრულებელმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა შენობის, ნაგებობის, მილსადენების, კაბელების, კანალიზაციის, და სხვა კომუნიკაციების დასაცავად.

№	სამუშაოების დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა
1	სადემონტაჟო სამუშაოები		
	კონსტრუქციაზე არსებულ განათების სისტემის დემონტაჟი მონტაჟი. საღებავის მოშორება–გაწმენდა.	კვ.მ	1600
2	დაგრუნტვის სამუშაოები		
	1 ფენა ანტიკოროზიული გრუნტით შეღებვა	კვ.მ	1600
3	შეღებვის სამუშაოები		
	1 ფენა ანტიკოროზიული საღებავით შეღებვა	კვ.მ	1600

### 3. სხვა მოთხოვნები

3.1 სამუშაოს შესრულების ვადა და ადგილი:

3.1.1 მთლიანი სამუშაოების დასრულების ვადა , ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 1 მაისის ჩათვლით.

3.1.2 მიწოდების ადგილი – ოზურგეთი, სოფ. ნატანები, შეკვეთილი.

3.2 სატენდერო წინადადების ფასი:

3.2.1 სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2.2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

3.3 ანგარიშსწორების პირობები:

3.3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

3.3.2 ანგარიშსწორება მოხდება 2017 წლის საწარმოს საკუთარი შემოსავლების სახსრებით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3.3.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

3.4 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

3.4.1 პრეტენდენტის რეკვიზიტები (დანართი N1–ს მიხედვით);

3.4.2 სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა დანართი N2–ის მიხედვით;

3.4.3 სამუშაოს განხორციელების ვადები გეგმა-გრაფიკის სახით;

3.4.4 ინფორმაცია შესრულებული სამუშაოს გარანტიის შესახებ;

3.4.5 ინფორმაცია ანალოგიურ საქმიანობაში პრეტენდენტის ბრუნვის შესახებ

(2014-2016 წლების განმავლობაში ჯამში უნდა შეადგენდეს 100000(ასიათასი)ლარს.

3.4.6 ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია ანგარისწორებამდე, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ან სხვა აკრედიტებული პირის საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა ყველა შესრულებულ სამუშაოს შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან.

#### **4. დამატებითი ინფორმაცია:**

5.1 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

5.2 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიაში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ოფურგეთი, სოფ. ნატანები, შეკვეთილი. საკონტაქტო პირი: ბუხუტი ჩხაიძე, ტელ: 577744487.

**5. ხელშეკრულება  
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #**

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

**ოზურგეთი, სოფ. ნატანები, შეკვეთილი**

**თარიღი**

**1. ხელშეკრულების დამდები მხარეები**

ერთის მხრივ შპს „სერვისი-7“ (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი ----- სახით და მეორეს მხრივ ----- (“შემდგომში მიმწოდებელი”), წარმოდგენილი ----- სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

**2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა**

- 2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - შპს „სერვისი-7“-ის ატრაქციონების პარკ „ციცინათელა“-ში არსებული პანორამული ბორბლის რკინის კონსტრუქციაზე სადებავის აცლა/მოშორება და შეღებვის სამუშაოები.
- 2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული ელექტრონული ტენდერი;
- 2.3 ელექტრონული ტენდერის განცხადების ნომერი -----;
- 2.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---- ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით;
- 2.5 კლასიფიკატორის კოდი - 45400000.
- 2.6 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმებიდან და ძალაშია ----- მდე, ჩათვლით.

**3. სამუშაოს შესრულების პირობები, ვადა, რაოდენობა და ადგილი**

- 3.1 მთლიანი სამუშაოების დასრულების ვადა – ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 1 მაისის ჩათვლით.
- 3.3 მიწოდების ადგილი – ოზურგეთი, სოფ. ნატანები, შეკვეთილი.

**4. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა**

- 4.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
- 4.2 ანგარიშსწორება მოხდება 2017 წლის საწარმოს საკუთარი შემოსავლების სახსრებით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- 4.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

**5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)**

- 5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ ინსპექტირებას და კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.
- 5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს საწარმოს მთ.ინჟინერი თემურ ჯიბლაძე.

**6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

- 6.1 შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) დასრულების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი)

დასრულების შესახებ და წარუდგინოს ანგარიშები (შესრულებული ვალდებულების შესახებ).

6.2 ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს აღმოჩენილი შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6.4 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ წინარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირები.

## **7. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია**

7.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს;

7.2 სამუშაოების დასრულების შემდეგ 2 (ორი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

## **8. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა**

8.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

8.2 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

## **9. ფორს-მაჟორი**

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება

ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

### **10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)**

- 10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
- 10.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა (გარდა მიწოდების ვადის დარღვევისა) ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობიდან.
- 10.3 შემსყიდველის მიერ მიწოდებული კონკრეტული გეგმა-გრაფიკის 1-დან 10 კალენდარულ დღემდე ვადით დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 0.25%-ის ოდენობით, კონკრეტული გეგმა-გრაფიკის 10-დან 20 კალენდარულ დღემდე ვადით დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული კონკრეტული შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით, ხოლო კონკრეტული გეგმა-გრაფიკის 20 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 0.7%-ის ოდენობით.
- 10.4 კონკრეტული გეგმა-გრაფიკის 20 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.
- 10.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვეში.
- 10.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 10.7 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

### **11. ხელშეკრულების შეწყვეტა**

- 11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
- 11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
- 11.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
- 11.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 11.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
- ა) კონკრეტული გეგმა-გრაფიკის 20 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების ან გეგმა-გრაფიკის ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
  - ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ

უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

## **12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

12.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## **13. უფლებების გადაცემა**

13.1 მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე, მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

13.2 მხარეებს არა აქვთ უფლება მხარეთა (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი) წერილობითი შეთანხმების გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13.3 უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

13.4 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

## **14. ფასები**

14.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

14.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.

14.3 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

14.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

14.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

## **15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

15.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ

ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანით, მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

#### **16. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის**

16.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

#### **17. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა გონივრული შეთანხმებით ან/და მოგვარდეს პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით სამართლიანობის ფარგლებში.

17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს

17.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს

17.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

17.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

#### **18. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები**

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

რეკვიზიტები

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

ხელის ხელმოწერა, ბეჭედი \_\_\_\_\_